ბიბლია - წაკითხული ეკონომისტის თვალით



ევგენი ბარათაშვილი
სტუ სრული პროფესორი
რევაზ შენგელია
სტუ სრული პროფესორი
ზურაბ ვაშაკიძე
სტუ სრული პროფესორი
ჟუჟუნა წიკლაური
სტუ სრული პროფესორი
ნათია შენგელია
სტუ პროფესორი

**„თქვენი ყოველდღიური თანამგზავრი
უნდა გახდეს წიგნი და მათ შორის უპირველესი
წიგნი - „ბიბლია“.**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
უწმინდესი და უნეტარესი ილია II**

ასოცირებული პროფსორის, მერაბ მიქელაშვილის ნაშრომი „ბიბლია. ეკონომიკური კატეგორიები“, ერთ-ერთი პირველი მცდელობაა შეავსოს ის ვაკუუმი, რომელიც ქართველ ეკონომისტ მეცნიერებს ამ კუთხით გაგვაჩნია.

ნაშრომში ბიბლიის მიხედვით განხილულია სულიერი საწყისის მონაწილეობა სამეურნეო საქმიანობაში და ეკონომიკური მოღვაწეობის ზნეობრივი მხარეები; გააანალიზებულია მოსეს სამეურნეო კანონის ნორმები, მათი მაღალი მორალური სიმაღლეები და შედარებულია თანამდეროვე ეკონომიკური საქმიანობის ნორმებთან; განხილულია შრომის, კერძო საკუთრების, გირაოს და ზარალის საკითხები; მევახშეობა, ვაჭრობა და საეკლე-

სიო გადასახადი-მეათედი; ახალი აღთქმა და შრომითი საქმიანობის მოტივები; ახალი აღთქმა და კერძო საკუთრება; ქრისტიანული შეხედულება მდიდრებსა და ღარიბებზე, მოწყალებასა და ქველმოქმედებაზე.

სიტყვა „ბიბლია“ პირდაპირი მნიშვნელობით წიგნებს ნიშნავს, ბიბლიოთეკაც ამ სიტყვიდან მომდინარეობს, მაგრამ სიტყვა „ბიბლია“-ს წარმოთქმისას ჩვენ ვგულისხმობთ ქრისტიანობის სულიერ და ზნეობრივ სტანდარტს, რომელიც მატერიალიზებულია სწორედ ბიბლიის წიგნების სახით. სტრუქტურულად ის მართლაც რამდენიმე წიგნისგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორის მიერ არის დაწერილი.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მთავარია ის, რომ „ ბიბლია“-ში რელიგიური და მორალურ-ეთიკური დოგმების გარდა, დეტალურად არის აღწერილი ძველი საზოგადოების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სფერო - სამეურნეო საქმიანობა, კერძოდ, დახასიათებულია ბევრი ეკონომიკური ალგორითმი, რონელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

ნაშრომი ერთ-ერთი პირველი მცდელობაა ბიბლიის ეკონომიკური კატეგორიების გააზრებისა. ნაშრომში ჩამოყალიბებულია ეკონომიკური სფეროსთან ქრისტიანული დამოკიდებულების ძირითადი მოდელები. ვრცლად არის განხილული გადასახადებთან ბიბლიური დამოკიდებულების საკითხები.

ჩვენი აზრით, ნაშრომი კარგი საჩუქარია ყველა იმ პირისათვის, ვინც დაინტერესებულია ეკონომიკის რელიგიასთან ურთიერთობის საკითხებით.

ჩვენი სურვილია ავტორმა გააგრძელოს ამ კუთხით მუშაობა, ეკონომიკური საზოგადოება ელის მისგან ახალ ნაშრომს რელიგიური კუთხით ეკონომიკაზე. ვუსურვებთ წარმატებებს ამ საქმიანობაში.

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 233-50-23, 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 233-50-23, 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
გადაეცა ასაწყობად 15.01.2014წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.01.2014წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,125